

ნოდარ არდოტელი

ხუნძური თანხმონების ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში*

ზოგადად, იბერიულ-კავკასიურ ენათა, ხოლო კონკრეტულად ხუნძური ფონემების ქართული ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის პრობლემატიკა ჯეროვნად დამუშავებული არ არის, ზოგიერთი საკითხი კი სრულიად შუესწავლეელია. ეს განსაკუთრებით ითქმის ტრანსლიტერაციასა და ფონოლოგიურ ტრანსკრიფციაზე, რომელთა შესახებაც, მწირი საანალიზო მასალის გამო, ხუნძურსა და ქართულს შორის სათანადო კვლევა-ძიება დღემდე არ არის ჩატარებული.

ამ თემატიკაზე ყურადღების გამახვილებისას რამდენიმე პრობლემური საკითხი იკვეთება:

ა) ტრანსკრიფციის სახესხვაობებიდან (პრაქტიკული, ფონეტიკური, ფონოლოგიური) ჩვენი განხილვის საგანს ამჟამად ფონოლოგიური ტრანსკრიფცია წარმოადგენს, რაც ქართულ სინამდვილეში სამეცნიერო მიზნით გამოიყენება. ძველი ტრანსკრიფცია ადეკვატურობის თვალსაზრისით უნდა გადაისინჯოს და სათანადო შემთხვევაში გასწორდეს;

ბ) უნდა გაირკვეს, შესაბამისი ბგერები ისტორიულად როგორ აისახებოდა ზეპირი გზით ნასესხებ ლექსიკაში. ამასთანავე, შეძლებისდაკვალად შუქი მოეფინოს ქვაზე ნაკვეთ წარწერებში არსებულ გრაფემათა პალეოგრაფიას;

გ) უნდა დადგინდეს ტრანსკრიბირებულ ფონემათა მიმართება ამა თუ იმ ფონემის რეფლექსებთან, რაც მნიშვნელოვანია ახლად აღმოჩენილი ტექსტების ამოსაკითხავად;

დ) ტრანსლიტერაციის დროს ყურადღებას იქცევს ფორმოზრევი სიჭრელე და ნაირგვარობა, რაც სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მიუღებელია. ნასესხობათა უმართებულო ნაირგვარობა რომ აღმოიფხვრას, აუცილებელია ბგერათა და გრაფემათა შორის ადეკ-

* წაკითხულია მოხსენებად კავკასიოლოგთა მეოთხე საერთაშორისო კონგრესზე 2016 წლის 2 ოქტომბერს. იხ. მოხსენებათა მასალები, გვ. 6-7.

ვატურობის დადგენა; ამასთანავე – ამგვარ ნასესხობათა მართლწერის მოგვარება და სწორი დაწერილობის დამკვიდრება.

როგორც ცნობილია, რუსულ გრაფიკაზე დამყარებული ხუნძური პრაქტიკული ანბანი 46 ასოს შეიცავს. მანამდე გამოიყენებოდა არაბულ (XVIII ს. – 1928 წ.) და ლათინურ (1928 – 1938 წ.წ.) გრაფიკაზე დამყარებული ანბანები [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 15]. ამჟამად მოქმედი ხუნძური ანბანი იმის გამო, რომ მასში სრულად არ აისახება სპეციფიკური ბგერები ან გვხვდება არარსებული ასო-ნიშნები, ნაკლებია [საიდოვი 1949: 105-106; ათაევი 1996: 40-77...]. ამ დეფექტის თაობაზე ბ. ათაევი სავსებით სამართლიანად წერს: „В наше время следовало бы более дифференцированно подойти к данной проблеме и изменить те нормы, которые не соответствуют современной разговорной практике“ [ათაევი 1996: 76].

აღსანიშნავია, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდები ზემოაღნიშნული ნაკლის დაძლევისა. კერძოდ, არნ. ჩიქობავასა და ილ. ცერცვაძის ხუნძური ენის სახელმძღვანელოში, საენათმეცნიერო მიზნით ხმარებულ ქართულ სატრანსკრიფციო ნიშანთა ტაბულაში, ამ ენის ფონოლოგიური სისტემისათვის უცხო ასოები (ფ, შ, ყ...) არ არის წარმოდგენილი, სამაგიეროდ ჩართულია ინტენსიურ ბგერათა გამომხატველი გრაფემები (ც, წ, ჩ, ჭ, ქ, კ...), სონანტი (ღ) და აფრიკატული ფშვინვიერი ლატერალი (ლ') [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 16-21].

ხუნძურ ფონოლოგიურ სისტემაში ვოკალიზმი, უადრესად რთული კონსონანტიზმისგან განსხვავებით, სიმარტივით ხასიათდება და ძირითადად თანხვდება ქართული ენის ხმოვანთა სისტემას. განსხვავება მართლაც არის, რომ ხუნძური ა სათანადო ქართულის შუა წარმოების ა-სგან ლოკალური რიგით განსხვავდება, რადგანაც მიჩნეულია უკანა წარმოების ხმოვნად [ჯაფარიძე 1967: 119; არდოტელი 2009: 34-35...]. აქედან გამომდინარე, ხუნძურ ხმოვანთა სისტემის ქართული ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია იოლად ხერხდება და სათანადოდ არის კიდევ ასახული ამოდარულ ლაპიდარულ წარწერებსა თუ შეთვისებულ მასალაში. კერძოდ, ერთ-ერთ ქართულ-ხუნძურ წარწერაში დადასტურებულ წინადადებას – თიმალატაწობეგ: ან უო – ტ. გუდავა ასე შიფრავს: ლიმალატა წობ ლეგი, ამინ უფალო!“ ზედმიწ. „ბავშვებზე წყალობა დაღევი (ე. ი. ბავშვები შეიწყალებ), უფალო, ამინ!“ [გუდავა 1954: 188].

მაშასადამე, ამ წინადადებაში ყველა ხმოვანია წარმოდგენილი და უცვლელად გადმოტანილი. ეს კი ნიშნავს, რომ ხმოვანთა ადეკვატურობას ა-ს წარმოების ადგილის სხვადასხვაობა ხელს ვერ უშლის, ვინაიდან ეს ნიშანი ტრანსლიტერაციისას ფონოლოგიურად ირელევანტურია.

რაც შეეხება ხუნძურის თანხმოვანთა სისტემას, ქართულის შესაბამისი სისტემისაგან განსხვავდება ჰ-ს უქონლობით და მთელი რიგი სპეციფიკური სერიების (ინტენსიური, ლატერალური, უკანა-ფარინგალური, წინაველარული **ჩ**, ლარინგალური **ც**) არსებობით. ცხადია, სამეცნიერო ტექსტებსა თუ დამოწმებულ მაგალითებში ხუნძურის სპეციფიკური ბგერების ქართული გრაფემებით მარტივად და ადეკვატურად გამოხატვა სიმძნელებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, **ლ**-ს, **ტ**-ს, **ხ**-ს, **ჯ**-ს და **ყ**-ს გამოკლებით, მაგარი ბგერების გადმოსაცემად გამოიყენება დიაკრიტიკული ნიშანი **⚭**, რომელიც სათანადო ასოს მოსდევს, მაგ.: კალ „ხეობა“ (შდრ. კალ „პირი“), იც „წყარო“ (შდრ. იც „ჩრჩილი“), ბეც_⚭იზე „ქება“ (შდრ. ბეც_⚭იზე „თიბვა“), ბეწ_⚭იზე „დენა“, „ჟონვა“ (შდრ. ბეწ_⚭იზე „გადახდა“), ბიჩ_⚭იზე „დასველება“ (შდრ. ბიჩ_⚭იზე „გაყიდვა“), ბაჩ_⚭ანა „მოიტანა“ (შდრ. ბაჩ_⚭ანა „მოიყვანა“), ბიჭ_⚭იზე „გაგება“ (შდრ. ბიჭ_⚭იზე „გაპობა“), საჩ_⚭ „მწვანე ფერდობი“ (შდრ. საჩ_⚭ „სხეულის ნაწილი“), მახ_⚭ „რკინა“ (შდრ. მახ_⚭ „არყის ხე“) და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ამავე ნიშნით (**⚭**) გამოიხატება ფარინგალური ყრუ სპირანტი ჰ_⚭, რაც სპეციალურ ლიტერატურაში, სიმაგრის ნიშანთან აღრევის გამო, სავსებით სამართლიანად შესწორებული და შეცვლილია ჰ_⚭ ასოთი [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 40-41]. ამასთანავე, მაგარსასისმიერ **ჩ**-ს, ხახისმიერ **ჯ**-ს და **ყ**-ს იმის გამო, რომ ისინი მოკლებულნი არიან არაინტენსიურ კორელატებს, სიმაგრის ნიშანი აღარ აღენიშნებათ.

რაც შეეხება ხუნძური ლატერალების ქართულ დაწერილობას, სატერმინოლოგიო კომისიის მიერ შემუშავებულ სატრანსკრიფციო ნიშნებში ზოგ არათანამიმდევრულობას ვაწყდებით. კერძოდ, აბრუპტიული ლატერალი კანონზომიერად გამოხატულია **ტ**_⚭ გრაფემით, მაგრამ ამავე ლოკალური რიგის ფშვინვიერი წევრი – **ლ**_⚭ ნიშნით. სასურველი იყო სონორის ნაცვლად კბილისმიერი ფშვინვიერი თ (**თ**_⚭) გამოგვეყენებინა ისევე, როგორც მჟღერი ლატერალისათვის დ (**დ**_⚭) ასოს ვიყენებთ [იხ. გიგინეიშვილი 1977: 9]. ეს გამართლებუ-

ლი იქნებოდა ორი თვალსაზრისით: ა) ლატერალთა აღნიშვნის წესი სამწევრა სისტემაში უფრო თანამიმდევრული გახდებოდა, ვინაიდან ლ⁷ დანარჩენი ორი წევრის ანალოგიურად აღინიშნებოდა და ბ) ფონეტიკურადაც მართებული იქნებოდა, რადგანაც ამ აფრიკატში დომინანტური ჩანს ხშულ-მსკდომის ელემენტი, ხოლო სონანტური მხარე – მისი თანამდევი.

ქართულისათვის უჩვეულო ხუნძური ბგერების ტრანსლიტერაციისას განსაკუთრებულ ყურადღებას ისევ ლატერალები იქცევენ. კერძოდ, ლატერალურ აფრიკატთა გადმოტანა ასე ხდება: ლ⁷ (ლ⁷) – თლ, ტ⁷ (ტ⁷) – ტლ, მაგ.: როთლი (< ხუნძ. როლ⁷ „id.“, შდრ. გიულდენშტედტი – Rodchi „id.“) „ხორბალი“, ლაღათლინ (ხუნძ. ლაღალ⁷) „აულის სახელი“, ტილიტლი (ხუნძ. ტილიტ⁷) „აულის სახელი“, ანკრატლი* < ანტ⁷ „შვიდი“ + რატ⁷ „მიწა“, ე. ი. „შვიდი თემი“, უწყრატლი < უწყ „ოთხი“ + რატ⁷ „მიწა“, ე. ი. „ოთხი თემი“, შაიტლი (< ხუნძ. შაიტ⁷) „აულის სახელი“, ჰეტლეღავი (ხუნძ. ჰეტ⁷ელავ⁷) „საკ. სახ.“ და მისთ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „ როგორც ჯერ კიდევ პ. უსლარი შენიშნავდა, ლატერალური თანხმოვნები პირველი შეხედვით (არასწორი აღქმის შედეგად) თანხმოვანთა კომპლექსებად (ჰლ, ხლ, თლ, ტლ) შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ დაკვირვება ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს თვისობრივად განსხვავებულ თანხმოვნებთან“ [ჩიქოზავა, ცერცვაძე 1962: 47]. ეჭვს გარეშეა, რომ პერცეფციის დონეზე ლატერალები აღიქმებიან როგორც კომპლექსები, ამიტომ მათი ტრანსლიტერაცია ძირითადად კომპლექსებით ხდება. ამ თვალსაზრისით თავისებურებას მაინც ლატერალური სპირანტები ამჟღავნებენ. კერძოდ, ლ⁷-ს მსგავსად აღნიშნავენ ლატერალურ სპირანტ ლ⁷-საც, რაც ცხადყოფილია საილუსტრაციო მაგალითებში: ბოლი⁷ „ბოთლიხი“, ლ⁷არატა „თლარატა (რ-ნი)“, ბეჟ. ბილო > ქართ. ბითლა „მამალი ჯიხვი ხუთ წლამდე“ და მისთ.

თვალშისაცემია ერთი გარემოება, რაც ამ ორი ფონემის ტრანსლიტერაციის დამთხვევას და აღრევას იწვევს. სახელდობრ, ხუნძური ლატერალური აფრიკატი ლ⁷ (ლაღალ⁷ „ლაღათლი“ – აულია) და

* პირველი ტ⁷ კ-ს სახით გადმოიცემა, რაც კანონზომიერებას არღვევს. ჩანს, რიგ შემთხვევაში ტ⁷ > კ.

ნაპრალოვანი ლ (ლარატა „თლარატა“) ქართულში ერთგვარად გადმოიცემა, რაც, ცხადია, არ არის კანონზომიერი.

კითხვა ისმის: რამ გამოიწვია აფრიკატისა და ნაპრალოვნის ერთგვარი ტრანსლიტერაცია?

ამა თუ იმ ენაში ბგერათა ტრანსლიტერაციის კვლევისას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს წყაროენათა ბგერების როგორც კომბინატორულ, ისე სპონტანურ მიდრეკილება-ცვლილებებს და, აქედან გამომდინარე, მათ რეფლექსაციას. არნ. ჩიქობავა IV ს-ის ლაპიდარული წარწერის გაშიფვრისას წერს: „ქართულ წარწერაში მაგარი წ: გადმოცემულია ჩვეულებრივით, ლატერალურ სპირანტ ლ-ს კი წარწერის ამომჭრელმა თ შეუფარდა.

საინტერესოა, რომ თვით ხუნძურშიც, სახელდობრ, მის ანწუხურ კილოში ლ → თ; მაგრამ თეგ-ის თ აქ ხუნძურიდან არ უნდა მომდინარეობდეს“ [ჩიქობავა 1940: 323].

ცოტა მოგვიანებით ილ. ცერცვაძე კითხვას დასვამს: „თეგი ← ლეგი?

ეს ფაქტი ხსენებული მოვლენის სიძველის საბუთად გამოდგებოდა, რომ გამორიცხული იყოს ერთი ანგარიშგასაწევი ეჭვი: შესაძლებელია ამ შემთხვევაში მხოლოდ ლატერალის თავისებურ დაწერილობასთან გვეკონდეს საქმე და არა ფონეტიკურ პროცესთან: რაკი ლ ლატერალის გადმოსაცემი საშუალება ქართულ ანბანში არ მოიპოვებოდა, მისი დაწერილობისათვის თ იქნა გამოყენებული, როგორც ამას არნ. ჩიქობავა ვარაუდობს“ [ცერცვაძე 1948: 136]. ექვსი წლის შემდეგ ტ. გუდავაც იმავე დასკვნამდე მიდის: „პირველ სიტყვაში (თიმალატა – ნ. არდოტელი) ხუნძური ყრუ ფშვინვიერი სპირანტი ლ გადმოცემულია თ-თი. ქართულს ლ ბგერა (და მისი შესატყვისი ნიშანი) არა აქვს, ამდენად მისი თ-თი გადმოცემა შეიძლება აიხსნას აკუსტიკური სიახლოვით (ლ გამოთქმაში დაახლოებით თლ-ს უდრის)“* [გუდავა 1954: 188].

ექვს გარეშეა, რომ ლ-ს ტრანსლიტერაცია თ-ს სახით ანწუხური დიალექტის მონაცემს არ უკავშირდება. იგი გამოწვეული ჩანს ლ-სა და ლ'-ს არტიკულაციის სიახლოვესთან ერთად წარწერის ამო-

* თუ ლ თლ-ს უდრის, მაშინ რაღას უდრის ლ'? საინტერესოა, რომ გიულდენშტედტი მაგარი სპირანტისთვის ხან ჰთლ-ს იყენებს (Htlim = ჰთლიმ „წყალი“), ხან კი – თლ-ს (Tl'hab = თლიჰაბ „კარგი“) [იხ. ცერცვაძე 1948: 125-126].

მკვეთის ენობრივი კუთვნილებითა და ცნობიერებით. კერძოდ, ქართულ ენაში თითოეულ ბგერას თითო ნიშანი შეესაბამება, ამიტომ ერთი ბგერის გამოსახატავად ორი ასოს (კომპლექსის) გამოყენება უცნაურობად მიიჩნეოდა. ფაქტია, გვიანდელ ნასესხობებსა და ტოპონიმებში **ლ**-ს ტოლფარდად **თლ** მოეპოვება.

კვლავ ისმის კითხვა: რატომ **თლ** და არა **ჰლ** (**ლჰ** - რეფლექსაციით) ან **ხლ**?

სავარაუდოა, ძირითადი მიზეზი ქართული ენის ფონოტაქტიკა იყოს – ძირეულ მორფემებში **ჰ** (მით უფრო **ჰლ**) არ გვხვდება, ხოლო იგი ანლაუტში მარტოოდენ მორფემათა ზღვარზე შეინიშნება. გარდა ამისა, რუსული ენის გავლენაც არ არის გამოსარიცხი, ვინაიდან ამ უკანასკნელში, **ჰ**-სა და მკვეთრი **ტ** თანხმოვნის უქონლობის გამო, ორივე ლატერალი **თლ** თანხმოვანთკომპლექსით გადადიოდა, ხოლო შემდეგ, ბუნებრივია, ქართულშიც ანალოგიურად აისახებოდა*.

სასურველია, **ლ** – მისი რეფლექსაციიდან გამომდინარე, **ხლ** (ინლაუტსა და აუსლაუტში), **ჰლ** (ანლაუტში) კომპლექსით გადმოვიდეს. ამასთანავე, არ გამოირიცხება **თლ** თანხმოვანთკომპლექსის გამოყენებაც, თუმცა – ერთგვარი დიაკრიტიკული ნიშნის თანხლებით.

მაგარი თანხმოვნების ტრანსლიტერაცია, ქართულში ამ კორელაციის უქონლობის გამო, არამაგრებთან არის გათანაბრებული. ზემონახსენებ წარწერებში დასტურდება ოდენ ერთი სახელი **წობ** („წყალობა“, „მოწყალება“), რომელიც ინტენსიურ **წ**-ს შეიცავს. ორივე წარწერაში ეს **წ** სავსებით კანონზომიერად გადმოცემულია **წ** გრაფემით [ჩიქობავა 1940: 323; გუდავა 1954: 188]. ასევეა გადმოტანილი **წუმადისა** (ხუნძ. **წუმადა**) და **წუნტის** (ხუნძ. **წუნტა**) რაიონთა სახელწოდებებში თავჩენილი მაგარი **წ** [საიდოვი 1967: 643].

* კავკასიურ ენათა ბგერების გადმოცემისას რუსული ენის გავლენა თარგმანებშიც იჩენს თავს. რ. ჰამზათოვის ნაწარმოებში „ჩემი დაღესტანი“ ქართულ თარგმანში გვხვდება: მაც (უნდა იყოს – მაწ, შდრ. ხუნძ. მაწ) „ენა“, ცარ (უნდა იყოს - წარ, შდრ. ხუნძ. წარ) „სახელი“...; თავად ავტორის გვარი ქართულად გადმოაქვთ სხვადასხვა ვარიანტით – **გამზათოვი** // **გამზატოვი** (უნდა იყოს – **ჰამზათოვი**, მისი მამის სახელი იყო **ჰამზათი**, ხუნძ. **ჰამზათ**), ხოლო მისი მეუღლის სახელის გადმოქართულებაც ხშირად შეცდომით (**ფატიმატი**) ხდება.

როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ სალიტერატურო ენაში განხორციელდა ფარინგალური ჯ-ს სპირანტიზაცია (ჯ > ხ: ჯერლუ > ხერლუ „მამაკაცის საკ. სახ.“, ჯანდულაჲ > ხანდულაჲ „ქალის საკ. სახ.“, ბოთლიჯ > ბოთლიხი „ადგილის სახელი“...), ფარინგალური ფშვინვიერი ტრადიციულად ხ სპირანტით აღინიშნება, თუმცა არქაული ტიპის ზოგ დიალექტში ჯ დაცულია. ამავე რიგის სპირანტებიდან მჟღერი წვერი ჟ ნულს ეთანაზრება (ჟ = 0), ხოლო ფშვინვიერი წვერი – ჰ-ს (ჰ > ჰ), მაგ.: ჟანდი[ზ] „ანი“, ჟანდ-ალ „ანდიელები“, ნ'უანჟორ „ხვანორი“ (ზედმიწ. „ხვანთა მდინარე“), გოჰ 1) „გორაკი“, „ბექი“; 2) „გროვა“, შდრ. ქართ. გოხა „გაუტეხელი, ურწყავი მაღალი ადგილი, უბალახო და მწირი ადგილი“ (ქეგელი 2010, 1584), ჰამზათ „ჰამზათი“ (საკ. სახ.), ჰაჟიაჲ „ჰაჟიავი“ (საკ. სახ.), მაჰმუდ „მაჰმუდი“ (საკ. სახ.) და მისთ.

რაც შეეხება სონანტებს, ა შესაბამისი გრაფემით ან ნულით აღინიშნება (ა>0[ი]), ხოლო უ კბილისმიერი ვ-თი (უ > ვ) გადმოიცემა, მაგ.: ნუცალაჲ „ნუცალაი“, ჟუნაჲზათ „უნაიზათი“, ყებედაჲ „ყებედავი“ (ქართ. მჭედელა), ლაჩენილაჲ „ლაჩენილავი“ (ქართ. „შევარდენა“) და სხვ.

ზემომოყვანილი ფონემების გარდა, ხუნძურისთვის ნიშანდობლივია ხორხისმიერი ხშული ც, რომელსაც ქართულში არ მოეპოვება ფონემის სტატუსის მქონე შესატყვისი და მისი აღნიშვნა არ წარმოადგენს გარდუვალ აუცილებლობას.

ლიტერატურა

ათაევი 1996 – Атаев Б. М., Аварцы: история, язык, письменность, Махачкала.

არდოტელი 2009 – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა, თბილისი.

გიგინეიშვილი 1977 – Гигинейшвили Б. К., Сравнительная грамматика дагестанских языков, Тбилиси.

გუდავა 1954 – ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და

ქართულ-ხუნძური) დადესტინდან. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, გვ. 135-194.

საიდოვი 1949 – Саидов М. С., Глухой латеральный лп и глухой заднебный хъ в аварском литературном языке. – ЯСКД, II. Москва-Ленинградь, С. 103-108.

საიდოვი 1967 – Саидов М. С., Аварско-русский словарь, Махачкала.

ქეგლ 2010 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

ჩიქობავა 1940 – არნ. ჩიქობავა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღისტინდან (წინასწარი ცნობა). – სსრკ მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის მოამბე, ტ. I, №4, თბილისი, გვ. 321-327.

ჩიქობავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი.

ცერცვაძე 1948 – ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი. – იკე, II, თბილისი, გვ. 117-199.

ჯაფარიძე 1967 – ზ. ჯაფარიძე, სალიტერატურო ხუნძური ენის ხმოვნები (რენტგენოგრაფიული გამოკვლევა). – მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, თბილისი, გვ. 112-121.

Nodar Ardoteli

On the Transcription and Transliteration of the Avar Consonants into Georgian

Summary

The present-day Avar practical alphabet, based on the Russian graphics, contains 46 letters. Earlier, Arabic-based (the end of the 18th century – 1928) and Roman-based (1928 –1938) alphabets were used. As far as the present-day Avar alphabet does not reflect all the specific sounds

or some redundant characters occur, it is deficient [Saidov 1949: 105-106; Ataev 1996: 40-77].

It should be noted that there have been attempts in the Georgian linguistic literature to overcome this shortcoming. Specifically, in the table of the Georgian transcription symbols, the redundant characters are omitted; on the other hand, it includes the characters for intensive sounds [Chikobava, Tsertsvadze 1962: 16-21].

As different from the rather complex consonant system, the vocalism of the Avar language is simple and mostly corresponds that of Georgian. Therefore, the Avar vocal system can be easily transcribed and transliterated into Georgian.

The consonantal system of Avar differs from its Georgian counterpart in the absence of the bilabial ejective **p'** and in the occurrence of a number of specific series (intensive, laryngeal, back pharyngeal, front velar **x'**, laryngeal **'**). It is obvious that the transliteration of specific Avar sounds in a simple and adequate way is far from being an easy endeavor. In particular, the diacritic **ˆ** follows an appropriate character. Besides, the same diacritic is used for a pharyngeal voiceless spirant **hˆ**, which, in the special linguistic literature, has been substituted by **ˆ** (**hˆ**) owing to its confusion with a symbol for hardness [Chikobava, Tsertsvadze 1962: 40-41].

As for the Georgian spelling of the Avar laterals, inconsistencies occur here as well. Specifically, the glottalized lateral is rendered by means of the character **ᵑ**, but the corresponding aspirates is transliterated by means of the character **ᶑ**. It would be desirable to use the dental aspirate **t** (**t'**) instead of the sonorant, similarly to the use of **d** (**d^p**) for the voiced lateral [see Gigineishvili 1977: 9].

Laterals attract particular attention in transliterating specific Avar sounds into Georgian. Specifically, the lateral affricated are transliterated in the following way: **ᶑ** (**ᶑ**) – **ᵑl**, **ᵑ** (**ᵑ**) – **ᵑl**. The lateral spirant **ᶑ** is transliterated in the similar way (Bezh. **bi'fo** „wild animal“ > Geo. **bitla** „a male aurochs under five years“), leading to the coincidence and confusion in the transliteration of the two phonemes. Due to its reflexization, the **ᶑ** would better be transliterated as the cluster **xl** (**hl**). Besides, the pharyngeal **q** is traditionally rendered as **x**, and the spirants of the same

place of articulation are rendered respectively as **ჲ – 0**, **Ⴣ – Ⴣ**. Sonants are transliterated by means of either a corresponding character or a zero: **ჟ – 0** (**i**), **ჟ – ჟ**. As for the laryngeal stop ' , similarly to the pharyngeal spirant **ჲ**, it has no equivalent in Georgian and, hence, corresponds to a zero.